№ 52. 11 მარტი, ოთხშაბათი. 1866 - 1881 11 მარტი, ოთხშაბათი. № 52.

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სიდამზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე | „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე | „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილ ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

პირველის მარტიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს რვა მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში: რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში — აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სიდაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

# ტელეგრამმები

—

სახლთა მორის ტელეგრ. სააგენტოსი

**პეტერბურღი**, 9 მარტს. მიცვალებულს ხელმწიფე იმპერატორს 15 მარტს დაასაფლავებენ.

აღმოჩნდა რომ ხელმწიფე იმპერატორის მკვლელი, რომელიც ასაფეთქ ყუმბარამ მოჰკლა, ყოფილა გამოქცეულა დამნაშავე ტიუტჩევი.

ამ დღეებში პეტერბურღიდამ მიდიან: მუავლოვი ვენაში და რომში, სუვოროვი ბერლინში და თ. ვარანცოვი ლონდონში ხელმწიფე იმპერატორის საკუთარის წერილებით უცხო ქვეყნების ხელმწიფეებთან.

ამ ჟამად კიდევ იჭერენ ხელმწიფის მოკვლაში მონაწილეობის მამღებ პირებს. დიდ-ძალი ფული და დინამიტი (ასაფეთქი) აღმოაჩინეს.

მოსკოვმა გადაწყვიტა, რომ კრემლში, სასახლის პირ-და-პირ, აუგოს მეგლი მიცვალებულს იმპერატორსა; ამ საგნისათვის გადადვეს და მოაგროვეს 140,000 მან.

**პეტერბურღის ბირჟა**, 9 მარტს.

(„სახლთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 95 | 47 |
| მეორესი | 92 | 75 |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 93 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. | 91 | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე | 91 | 62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91 | 75 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 97 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |
| შინაგანის 5% სესხი ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი სესხის | 221 | 50 |
| მეორე სესხის | 214 | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 24 | 62 | პენსი |
| ჰამბურღი | 210 | 50 | ცენტი |
| პარიჟი | 261 | 25 | სანტიმი |
| ვენა | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — | — | |

## პირ-მაღიანი რაინდის პასუხი.

ტფილისი, 11 მარტს.

ხა-ხა! ხა-ხა-ხა! ერთის სტატიისათვის ორ დღეში სამი საყვედური და მუქარა: ორი სიტყვიერი და ერთიც, წერილობითი!..

ეს უკანასკნელი მაინც საუცხოოა!.. ვაი! ვაი!.. გული არ გამისქდეს და ან კალამი ხელიდამ არ გამვარდეს!.. ხუმრობა ხომ არ არის მისთანა კაცების გულის-წყრომა, რომელნიც არა თუ ცხადათ, ფხიზლობაში, ძილში სიზმრათაც არ გვაგონდებიან!! აბა ამაზედ, არის ნათქვამი: „ქუმ ფეხი გამოჰყოო და მეც ნახირ-ნახირაო!“

იმათ რომ კითხვა იცოდნენ და ან წანაკითხის გაგება შეეძლოსთ, მაშინ ეცოდინებათ, რომ ჩვენი ნაწერები საზოგადოა და არა კერძოთ ვისიმე შესახები და განსაკუთრებით მათთანა არ-კაცების. მათთვის, კერძოთ, ან გრძნობას ვინ მოაცლის და ან გონებას?

აქ ერთი ანბავი გვაგონდება:

ერთმა მეფემ უბრძანა მხატვარს: იმისთანა რამ დახატე, რომ ბევრი კაცის სახე გამოვიდეს და თვითეულმა მათგანმა თავი იცნოსო. მხატვარმა გამოიყვანა ნახატში პირდაღმა დამხობილი კაცი, რომლისაც მხოლოდ ზურგის მხარე მოსჩანდა და ზედ ზურგზედ დიდი კუზი დაუხატა. გამოჰკიდეს სურათი სახალხოთ. მოატყდა ხალხი სანახავათ და მათ რიცხვში ვიც კი კუზიანი იყო ყველამ თავის თავზედ მიიღო და საჩივარი შეიტანა მეფესთან, — მხატვარმა გაგვლანძღა, ქვეყანაში გამოგვაჭენაო.

ამ არაკისა არ იყოს, ჩვენ ნაწერში რომ ვინმემ თავისი ზნეობითი კუზი დაინახოს, ჩვენი რა ბრალია?

ვინ უნდათ, რომ ამ გვარის მუქარით შეაშინონ: „ხელი აადე წერაზედ, თორემ ცუდათ მოგივა საქმე... ამ მოკლე ხანში ავათ თუ კარგათ გაგაქრობთ... შენი წესი აგებულია... რედაქციამ ტაბლა დაგიდგასო“ და სხვ...

აი რა უთხრათ თქვენისთანა „დეკანოზებს, რაც თქვენ წისი ვერავის აუგოთ და რაც შეეხება ტაბლას, ის თქვენს ცოდვილს სულსა და საბრალო ჭკუას გამოადგება შესანდობარად...

თუ თქვენა გრძნობთ, რომ მწერლობამ უსამართლოდ შეურაცხყოფა მოგაყენათ და თქვენ კი სინიდისი სულ სხვას გეუბნებათ, გემარჯვებათ, რატომ არა სცდილობთ, რომ თქვენის პირ-და-პირის მოქმედებით პირი გაიწმინდოთ და ცილის-მწამებლები გაამტყუნოთ? ზანა გზა ცოტა გაქვსთ?

---

«დროების» ფელტონი, 11 მარტს.

## განთიადისას.

პირქუშად ცა ღრუბლებითა მოსილი,
თითქო იყო მტერზედ ძლევა-მოსილი,
ამაყად სჭვრეტს მიწას და თავს არიდებს...
სჩანს, მის ტანჯვას, წუხილს ის თავს არ იდებს!..

—

და მიწასაც რაღაც გლოვა ეტყობა,
მაგრამ რაა — მძიმე არის შეტყობა...
სიჩუმეა ყველგან შეურყეველი,
თითქო ფიქრით მოცულია ტყე, ველი!

—

მკვდარ ბუნებას არა რა აცხოვლებს:
ღრმათა სძინავთ ფრინველთა-და ცხოველებს;
თითქო ბედმა საკვა ყველა განგება
და მას ელის, რომ განკურნებს განგება!..

—

მაგრამ უცბათ შესძრა ნიავმა ველი...
გულ-დაწყვეტით ღლის სიახლოვეს ველი...
ცის დასავალს მქრალათ ბჟუტავს ცისკარი:
სჩანს, სინათლის აწ გველების ცის კარი!

—

შორით მოხვდა მიწას რაღაც ისარი —
მზის სხივსა ჰგავს... ვსთქვი, რომ სწორეთ ის არი:
მოანათებს აწ მზე ამომავალი,
ყოველთათვის იგი ამო მავალი.

—

ყველამ იწყო მიწაზედ ფუფუნება,
გაიღვიძა და მოძრაობს ბუნება;
განათდა ცა და მის ქვეშ ზღვა, ხმელთ კიდე;
განიღვიძეს: ფრინველთ, ცხოველთ, კაცთ კიდე...

—

მსტვენართ გუნდთა ერთხმად სიმღერა მორთეს,
კორდ-მდელონი მით შეამკეს და მორთეს;
ჭყეფეს, სტვინეს და ადიდეს განგება:
სჩანს, სიკეთის მათაცა აქვთ გაგება!

—

მადლი ღვთისა ვისაც კი გაეგება,
ყველა ლოცვით ზენაარსს გაეგება...
ყველა ხარობს, მიწაზედ ბობღავს რაცა:
რათ მოიწყენს — გაუნათდა მას რა ცა?!..

—

მხოლოდ მტანჯავს — სადმე ერთი რამ არის
შეპყრობილი სიჩუმითა სამარის...
ცოცხალია, არ მკვდარი, არც მძინარი,
მწარეთ მხვნეში, მტირალი არ მცინარი!

—

არ ახარებს იმას ქვეყნის ღრეობა...
სულ ერთია მისთვის მზე, უმზეობა!!
მის მაცქერალს მთელ ტანს ცეცხლი მედება,
თუმც კურნება მისი მეიმედება.

—

არის ესე, გითხრათ, ჩემი ტრფიალი,
ვის ნექტარის ბევრჯელ მისვამს ფიალი;
მის საუნჯის სახელია „უბადლო“...
სხვას ვერ ვპოვებ, რომე იმას უბადლო!!

—

დამაშვრალსა და გულს ლახვარ სობილსა
ცრემლი მომდის ვით ნოჩხს — ახალ-შობილსა;
ნაღვლით სავსე გული მწარედ ლონდება,
მასზედ ჰფიქრობს და სულ ის აგონდება!

—

კაცს ვერ ვპოვებ, რაგინდაც რომ ვიარო,
ვის მივენდო, ფიქრი დაუზიარო!..
ვისც შევხვდები, ყველა იტყვის „მტერია“:
ამ ჩვენ დროში ხომ ძმა ძმისა მტერია!!

7 მარტი. ა. წ.

—⊖⊖⊖—

## მართალია.*)

(თარგმანი)

(ეპიზოდი ირლანდიის ახლანდელ არეულობიდგან.)

ზამოძიების შემდეგ ორი ნაფიცი მოსამართლე ბორკ და ბალერონი ერთად გავიდნენ გარეთ.

— მშვენივრათ არის ეს საქმე მოხერხებული, სთქვა მარკმა. მე დიდათ მიხარიან, რომ მურფები გადარჩნენ.

— დიახ, უპასუხა ბალორენმა. მომეცით ეხლავე თქვენი შემოსატანი, რადგან ჩვენ პირველ ხანებში იშვიათად უნდა შევხვდოთ ერთმანეთს...

ბორკმა ჩუმათ გადასცა ფული, და ამის შემდეგ ჯვარედინ გზაზე გაიყარნენ.

სად იყვნენ მურფები? — ეს საგანი მე ძრიელ მაწუხებდა და მინდოდა შემეტყო. მართალია, კონნორ ჰფიცავდა, რომ ის კაცი, რომელიც მირბოდა ქლერველისაკენ, არ იყო ერთი მურფების ძმებთაგანიო; მაგრამ იქნება ეს ის ჩვენება იყო, რომელითაც ყოველთვის ადგილ-მამულის სიკვდილის თაობაზედ უჩვენებენ ხოლმე, რომ პოლიცია შეაცდინონ? რაც შეეხება ბორკის და ბალერონის სიტყვებს, მე იმათ არ ვაძლევდი არა-ვითარ მნიშვნელობას. ბრეში ძრიელ პატიოსანი კაცი იყო და ამისათვის შეუძლებელი იყო, რომ ის მოეკლა რომელსამე გაცეცხლებულ მცველს უნამუსო დედაკაცისა...

თუმცა არ ვიცოდი, და გამოვი-

*) „დროება“, № 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) სამწერლო ასპარეზი. თუ კი თავ-პირ ახვეული პირ-ბადით გამოდიხართ, რატომ პირ-და-პირობასაც ვერა ჰბედავთ? 2) კანონი და სამართალი. თუ კი საიდუმლო მოხსენებაში ძალიან გავარჯიშებული ბძანდებით, რატომ დაუფარავათაც არ მოჰმართავთ იმავე კანონს, რომ გიპასუხონ? და 3) განა პატიოსან პირ-და-პირობაში დაგერიდებიან?

რისთვის ერიდებით, უპირო რაინდო, ამაებს ყველას? მაშ სხვა იარაღი რაღა დაგრჩენიათ, რომელთაც ასე გვემუქრებით? ქუჩაში და აქეთ-იქით ბოროტ და ბინძურ სიტყვაობა? ეგ ხომ უეფა არის და მყეფარს ვინ გასცემს ხმას?... ცოფიანივით დატაკება?... არ იცით როგორ იგერებენ ცოფიანს და რას უშვებიან?

მაშ სხვა რაღა დარჩათ? უკაცრავათ, ახლა მომაგონდა: ტატო წულუკიძის ხელობა!.. ჰო ეს ხომ თქვენისთანების საქმეა; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ტატო თავისთავათ გამოდიოდა და თქვენ სხვები გამოგყავსთ, მოყიდულები... მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ბ-ნო რაინდო, რომ ტატო წულუკიძემ კალამი ვერ შეაშინა, ვერ მოსპო და კალამმა კი ის თხასავით ჩამოჰკიდა.

ბჭაკი.

*P. S.* არ გეგონოსთ, რომ მარტო თქვენთვის მოგვეცალოს და საკუთრად თქვენა გხდიდეთ პასუხის ღირსად. არა, თქვენისთანა ჭკუის კოლოფები სხვებიც ბევრი ბძანდებიან და ყველასათვის მოგვიხსენებია ეს სიტყვები ერთხელ და სამუდამოთ. და ამიერიდგან თქვენი წერილები, სადაც თქვენი ჭკუა და გრძნობა იხატება, თავის გზას მიაგნებენ.

ა.

## ხელმწიფე იმპერატორის მიცვალების ამბავი.

ძლიერს მოვიდა რუსეთის ფოჩტა და მოგვიტანა ცოტაოდენი დაწვრილებითი ცნობები ხელმწიფე იმპერატორის მოკვლის თაობაზედ. გაზეთს „პორიადოკში“ სწერია შემდეგი:

„განსვენებული იმპერატორი მოდიოდა ჯარის დახედვის შემდეგ კარეტით. უკან ახლდნენ და გარს ერტყნენ საკუთარის კანვოის ყაზახები, და ცოტა მოშორებით უკან მისდევდა პოლიცმეისტერი პოლკოვნიკი დვორჟიცკი, რომელიც ყოველთვის თან ახლდა ხელმწიფეს.

„ამ დროს, როდესაც კარეტამ აუხვია მიხაილოვის თეატრს და შებრუნდა ეკატირინის არხისაკენ (ასი საჟენი იქნებოდა კანიუშინის ხიდამდე) რაღამაც იფეთქა. ეს იყო მესამე საათზედ. ისეთი საშინელი გრიალი იყო, რომ ზარბაზნის ხმასავით კარგა შორიდამ მოისმოდა. ამ აფეთქებისაგან დამტვრეული კარეტა ფიცხლავ შედგა. პოლკოვნიკი დვორჟიცკი გადმოხტა მარხილიდამ, მივარდა კარეტას და ჰკითხა ხელმწიფეს:—ხომ არ დაჭრილხართო. ხელმწიფე იმპერატორი გამობრძანდა კარეტიდამ და მიუგო: „—მადლობა ღმერთს, არ დავჭრილვარო!“—ისურვა შეეტყო—თუ ვის რა ზარალი მოუვიდა ამ აფეთქებისაგან, აგრეთვე ენახა თვით ადგილი აფეთქებისა და დამნაშავეც. ერთის დამნაშავის დაჭერა მოასწრეს მიმავალ ჯარის კაცებმა; პოლკოვნიკმა დვორჟიცკიმ წაართვა მას რევოლვერი და ხანჯალი. ეს დაჭერილი არის ყმაწვილი კაცი, ქერა, წაკუზული, რუსის გლეხის ტანისამოსით.

„ის იყო, ხელმწიფე იმპერატორმა, რომელსაც მიუძღოდა წინ პოლკოვნიკი დვორჟიცკი, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და მოხდა მეორე აფეთქება... ხელმწიფე პირქვე დაეცა... პოლკოვნიკი დვორჟიცკი, რომელიც დაიჭრა და აგრეთვე დაეცა, წამოდგა ხელმწიფის ასაყენებლად; მაგრამ თვითონ ველარ შესძლო. ამ დროს მობრძანდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელმაც სხვა კაცების დახმარებით, ჩააწვინა ხელმწიფე იმპერატორი დვორჟიცკის მარხილში და მიიყვანა გულ-წასული, სასახლეში. ხელმწიფე იმპერატორი შეიყვანეს პირ-და-პირ კაბინეთში, სადაც ფიცხლავ შეიკრიბა ხელმწიფის სახლობა... ექიმებმა გადაჰსწყვიტეს, აღარა ეშველება-რაო... საათის ოთხის ნახევარზედ ხელმწიფე იმპერატორმა დალია სული“.

— გაზეთის „რუსის კურიერის“ კორრესპონდენტი იწერება:

„სამი დღის წინად ხელმწიფე იმპერატორს მოსვლოდა ერთი კოლოფი აბი, რომელიც მაშინკე გარდაეცა ექიმის ბოტკინისათვის გასაშინჯავად. აღმოჩენილა, რომ ეს აბები ყოფილან გაკეთებულნი ასაფეთქებელი წამლისაგან, რომელიც უნდა აფეთქებულიყო იმ წამსვე, რა წამსაც ძაფს მოხსნიდნენ კოლოფს“.

ეს ცნობა მოჰყავს კორრესპონდენტს ვაჭეთ **„Новое Время“**-დამ, და ჩვენის აზრით საეჭვო უნდა იყოს. ბოტკინს შეეძლო გაესინჯა აბი მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხსნიდა ძაფს და ახდიდა კოლოფს. თუ კი ძაფის მოხსნაზედ კოლოფი იფეთქავდა, ყოველგვარი გასინჯვა შეუძლებელი და უქმიც იქნებოდა.

— იგივე კორრესპონდენტი იწერება შემდეგს პეტერბურღიდამ.

„ქუჩებში (2 მარტს) არა-ჩვეულებრივი მოძრაობაა; ხელმწიფეს ეგებებიან; ცხენოსანი ყაზახები გუნდ-გუნდად დადიან. აფეთქების ადგილას მთელი დღე ხალხი თოვლს ჰქექავს: დაეძებენ ტანისამოსის ნაგლეჯებს და გამხმარ სისხლს. ამბობენ, ხალხმა სცემა ერთს ექიმს რომელმაც სიტყვა წარჰსთქვაო. ამბობენ რომ პოლიციას დიდი ხანია რისაკოვზედ თვალ-ყური ეჭირაო. ამბობენ აგრეთვე, რომ ვასილიევის კუნძულზედ მრავალი ბოროტის-განზრახვის კაცები აღმოუჩენიათო. ორი ფრიად მძიმე ბოროტ-მომქმედი დაუჭერიათო“.

## ახალი ამბები.

—

გუშინდელს სხდომაზე ქალაქის რჩევამ გაათავა ამ 1881 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განჩილვა.

ამ ანგარიშის ერთის მუხლით რჩევამ, სხვათა შორის, დაადგინა რომ, მომავალ კავკასიის უნივერსიტეტისათვის ქალაქმა თავის ხაზინიდამ მუდამ წელიწადს ათასი თუმანი გადადვას იმ ათი-ათას თუმნის შესავსებელად, რომელიც თფილისმა შესწირა ამ უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

შემდეგი საკმაოდ გაცხარებული და ხანგრძლივი ბაასი ატყდა ხმოსანის ნ. დ. ზუბალოვის წინადადების თაობაზედ, რომ ქალაქის გამგეობა ვალდებული არისო, ქალაქის ხაზინის გამგეობაში მთავრობისაგან გამოცემულის „ანგარიშის წესდებულებით“

---

დოდა მერფების დაჭერით, მაგრამ მაინც საჭირო იყო მცოდნოდა ისინი სად იყვნენ. რადგანაც ბრეტს იმათგან მოსდიოდა მუქარის წერილები, ამიტომაც ეჭვი იმათზე იყო:

ტელეგრამმები გავგზავნეთ ყველა მაზრებში და საღამოზე მოგვივიდა პასუხები. არსად არა სჩნდა მურფების კვალი.

საღამოს გავშინჯეთ სუყველა სახლი ექვს მილზე ბალიმორლეიდგან, სადაც კაცის-კვლა მოხდა და ჯილდო დაუნიშნეთ იმას ვინც მურფების, გასამტყუნებელს რასმე შეგვატყობინებდა. ჯერ-ჯერობით ამაზე შესდგა საქმე.

ლაზათიანი ფერმა ჯონ გენესისა მდებარეობს მაღლობზედ. გარშემო გაშლილი აქვს მშვენიერი საძოვარი და ნაყოფიერი მინდვრები და ცოტა მოშორებით იწყება ჭაობი ალლენა, რომელიც გაჭიმულია ძრიელ დიდ სიშორეზე. ერთი ნაწილი ამ ჭაობისა ჰყოფს გენესის სახლს ბალიმორლეიდგან, რომელიც აქედგან მარტო სამ მილზედ მდებარეობს. ამ ჭაობის ნაპირეზე გათხრილებია მრავალი ორმოები.

ორმოებში გლეხ-კაცებს შენახული აქვთ თოფები. და რომ წყალმა არ დაჰჟანგოს ლულებს სტყნენ ქონით და კონდახზე გაქონილ ჩვრებს ახვევენ. ეს თოფები რომ ერთი წამით ცეცხლთან დაიჭირო, ჩინებულათ მოიხმარებიან და თუ იმათ პოლიცია აღმოაჩენს რომელიმე ორმოს ძირში, ამით ვერავის გაამტყუნებენ.

ჯონ გენესსი — მდიდარი კაცია. იმის ბეღლები სავსეა ხორბლით, მსუქანი საქონელი ამისი სძოვს ახლომახლო მინდვრებზე, რომელიც ამას იჯარითა აქვს აღებული. ახლო ქალაქის ბანკში შენახული აქვს კარგა ვარიანი ფული. იჯარას ფულს ეს ყოველთვის თავის ვადაზე აძლევს და ამას მამულის მეპატრონე ისე ენდობა როგორც თავის თავსა.

გენესსის სახლში, სამი კვირის შემდეგ კაცის-კვლისა, შეიყარნენ ოცამდინ კაცი. ზოგი ამათგანნი მდიდრულათ იყვნენ ჩაცმულნი და ზოგი კი ესეთ დაწიწკნილი ტანისამოსით, რომ ცხადათ ამტკიცებენ თავიანთ საშინელ სიღარიბეს; ესენი იყვნენ დღიური მუშები. პირველ ოთახში, რომელიც სამზარეულოც იყო და სასტუმროც, ცეცხლთან იჯდა გენესსის ცოლი თავისის საში ქალით. კაცები კი ჯგუფ-ჯგუფათ იდგნენ და ნელის ხმით რაღასაც ლაპარაკობდნენ. სრული თანასწორება ემჩნეოდათ ცუდათ ჩაცმულებს მდიდრათ ჩაცმულებთან.

კარებზე ყარაული დადიოდა და ხველებით აცნობებდა საზოგადოებას თუ უცხო გამოჩნდებოდა ვინმე.

უცებ შემოვიდა ვიღაც ყმაწვილი კაცი ისეთის კეთილის სახის შეხედულობით, რომელსაც მიიღებენ ხოლმე ზოგიერთები, როდესაც დარწმუნებულნი არიან, რომ იმათ მოსვლას სიხარულით დაუხვდებიან.

— გამარჯვებათ! სთქვა იმან.

— აა! მარტინ ბრედი!—უპასუხა მისტრის გენესსიმ, და სიხარულით ჩამოართვა ხელი. დანარჩენნი ყველანი გარს შემოეხვივნენ და სიხარულით მიესალმენ.

— ძრიელ კარგათ მოიქეც, მარტინ! უთხრა ერთმა აქ მყოფთაგანმა.

— ღმერთმა სიხარული მოგცეს!— დაუმატა მეორემ:

— კარგი შვილებო, საქმეს დავეჩქარნეთ,—ხმა მაღლა სთქვა გენესსიმ და გასწია შიგნით ოთახისკენ, სადაც ორი ტახტი იდგა. სტოლზე ანთებული სანთლები იდგნენ. გენესსი დაჯდა და სხვანიც გარს შემოუსხდნენ.

ბრედი ერთს ტახტზედ იჯდა და ორ ყმაწვილ კაცს გაცხარებით რაღასაც უამბობდა; ისინიც გულ-მოდგინებით უგდებდნენ ყურსა.

გენესსიმ სტოლზე დააბრახუნა და და უნდოდა დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ ამ დროს შემოვიდა ბალორენი და თან შემოჰყვა ერთი უცნობი ყმაწვილი კაცი.

— დასწყევლოს ღმერთმა!—დაიყვირა გენესსიმ და საჩქაროთ გააქრო ერთი სანთელი, და მინამ მეორეს გაქრობასაც მოასწრობდა, ბალერონმა უთხრა.

— მე ვარ ამის თავდებათ. ფიქრი ნურაფრისა გაქვთ.

აქ მყოფნი აპირებდნენ გაქცევას. სახეზედ საშინელი შიში ეტყობოდათ. ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც ხელში რევოლვერი ეჭირა, საჩქაროთ კუნჭულში გადააგდო, ბრედი კანკალით ტახტის თავს ეჭირებოდა; ის

(счетный уставъ) იხელმძღვანელოსო.

ამ აზრის წინააღმდეგ ხმოს. პ. ა იზმაილოვმა მოიყვანა რამდონიმე მუხლი კანონებიდამვე, რომლითაც ამტკიცებდა, რომ ქალაქის თვით მმართველობა განთავისუფლებულია მთავრობის კონტროლისაგან, რომ ქალაქის რჩევას თავის შემოსავალ-გასავლის გამგეობაში იმ წესით იხელმძღვანელოს, რომელიც თვითონ ჰსურს და ემარჯვება, მთავრობა არ ერევა ამ საქმეშიაო.

საზოგადო აზრი კრებისა იყო, რომ თუმცა ქალაქი არ არის ვალდებული მთავრობის „საანგარიშო წესდებით“ იხელმძღვანელოსო, მაგრამ ამნაირად საქმის დატოვება, როგორც ახლა არის, არ შეიძლებაო, თვით ქალაქის ხაზინისა და გამგეობის სარგებლობა მოითხოვსო, რომ ახლანდელი წესი შეიცვალოსო. ამის გამო ზოგიერთები ამტკიცებდნენ, ამოვარჩიოთ კამისია და იმას მივანდოთ გამგეობისათვის ინსტრუქციის შედგენა — თუ როგორ უნდა განაგოს იმან ქალაქის ხაზინა, და ზოგიერთები კი ამტკიცებდნენ, რომ ამ ინსტრუქციის შედგენა თვითონ ქალაქის გამგეობას (უპრავას) მივანდოთო.

რჩევამ ხმის უმეტესობით გარდაწყვიტა, რომ ინსტრუქციის შედგენა ქალაქის გამგეობას მივანდოთო და ეს მინდობილობა ერთის თვის განმავალობაში შეასრულოსო.

* * *

ქალაქში ათასგვარი სხვა-და-სხვა ხმები დადის პეტერბურღისა და მოსკოვის ამბების თაობაზედ, იქაურ უნივერსიტეტებზედ, სტუდენტებზე და სხვ. ყველა ეს ხმები, უეჭველია, უქმ ფანტაზიის ნაწარმოებია და ამიტომ, სანამ ნამდვილი ცნობები არ მოვა გაზეთებიდამ, ყველას ურჩევთ ამ სხვა და სხვა ხმებსა და ჭორებს ნუ დაიჯერებენ.

* * *

დღეს სამი ფოჩტა რუსეთისა ერთად მივიღეთ. რაც მოვასწარით, ამოვიღეთ ამ ფოჩტით მიღებულს გაზეთებიდამ ხელმწიფე იმპერატორის გარდაცვალების ამბები. ამ საშინელი შემთხვევის დაწვრილებით ცნობებს შემდეგ ნომრებშიაც ნახავს ჩვენი მკითხველი.

* * *

მთებიდამ იწერებიან, რომ ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა დეპუტაცია 9 მარტს ნასადილევის 4 საათზე მოვიდა გუდაურის სტანციაზედაო და აქედამ მარხილებით წავიდა კობშიო. ტფილისის გუბ. თავად-აზნაურთა და ერევნის პოლკის დეპუტაცია კი 8 მარტს მივიდნენ კობის სტანციაზე და აქედამ ფურგუნებით წავიდნენ ყაზბეგშიო.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის მე-42 ნომერში დაბეჭდილია ქუთაისიდამ თქვენ-მიერ მიღებული წერილი არტემ მურალოვისა მისი მაღაზიის გაქურდვის თაობაზე. ვინაიდგან ეს წერილი ჭეშმარიტ სიმართლეს მოკლებულია, იძულებული ვარ, ორიოდე სიტყვა ვსთქვა ამ საგანზე და მკითხველს ვაცნობო სიმართლე მურალოვის მაღაზიის გაქურდვის თაობაზე; რაისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ამ ჩემ წერილს ცოტა-ოდენი ადგილი უთავაზოთ თქვენ გაზეთში.

ბ. მურალოვი ამბობს, მაღაზია გამიტეხესო, პოლიციის პრისტავების მიზეზით კვალი გაცივდაო და ჩემი დანაკარგი სამასი თუმნისა ოქრო და ვერცხლის და აბრეშუმის საქონელიც გაჰქრაო. ეს სიცრუეა. ა. მურალოვს გაუღეს მაღაზია გასაღებითვე და არა გაუტეხეს, როგორც პოლიციის გამოძიებით აღმოჩნდა, მაშინ, როცა მეზობელი მაღაზიები გაღებული იყო, ესე იგი, შვიდს წასრულს იანვარს, შვიდი საათიდგან მეცხრე საათამდინ საღამოს და მაღაზიის გაღება და გაქურდვა შეიტყო მეთერთმეტე საათზე ღამისა მურალოვის მეორე კლასის პრიკაშჩიკმა ა. მებურნუთოვმა; ამ პრიკაშჩიკმა გაიგო თუ არა მაღაზიის გაქურდვა, ნაცვლად პოლიციის შეტყობისა, ჯერ გააგებინა მეზობლებს, მერმეთ გაგზავნა ბიჭი მურალოვის სახლში ამბავის საცნობლად, სანამ ვექილი მურალოვისა ბ. ალხაზოვი სუფრიდგან აბრძანდა (ქეიფს ეწეოდა), სანამ მაღაზიაში მოვიდა და საქონელი გადაათვალიერა, მანამ პირველი საათის ნახევარიც შეიქნა, და მერე მოაშურა პოლიციას განსაცხადებლად.

მკითხველი ძლიერ კარგათ მიხვდება, რასაკვირველია, რომ თვითონ მურალოვის და მისი ვექილების მიზეზით „გაცივდა კვალი ქურდობისა და საქონელიც გაჰქრა და არა პოლიციის პრისტავების მიზეზითა.

ამას გარდა, მურალოვს დაეკარგა თუ არა სამასი თუმნის საქონელი, დრომდის ეჭვში რჩება და ადვილათ არც დარწმუნდება მკითხველი, მით უმეტეს, რომ ბ. მურალოვს არა-ერთხელ ვსთხოვე ნომრები დაკარგული ოქრო და ვერცხლის საათების,—იქმნება ნომრებით სადმე აღმომეჩინა საათები; მაგრამ დიდხანს არ დააკმაყოფილა მან ჩემი თხოვნა და როცა დააკმაყოფილა, მაშინ გადმომცა მარტო ხუთი ნომერი, თუმცა მისი განცხადებით ბევრი საათები მოიპარეს მაღაზიიდგან. ეს რას მივაწერო არ ვიცი...

ბატ. მურალოვმა ეგებ მიპასუხოს, რომ მე კი გამქურდესო და მაღაზია გატეხეს, თუ გააღეს, ჩემთვის სულ ერთიაო. არა, მაღაზია თუ გაეტეხათ ავაზაკებს, მეზობელ მაღაზიებში მყოფი პირები უეჭველად გაიგებდნენ, და მაღაზია გაქურდვისაგან გადარჩებოდა.

ბ. მურალოვი ამბობს: პრისტავმა ქუთათელაძემ მიპასუხაო, შენი საქონელი და ქურდები „დროების“ რედაქციაში ეძებეო! რომელი პოლიციის პრისტავი ნახა იგეთი ბრიყვი, რომ მთხოვნელებს აგეთ პასუხს აძლევდა კითხვაზე გინა თხოვნაზე?

შემდეგში ბ. მურალოვი ამბობს, უკეთუ ჩემი დაკარგული საქონელი არ მოიძებნაო, მაშინ მეტი ღონე აღარ დარჩება-რა, მართებლობის ყურამდის მივაწევინებ ას საქმესო და სხვა... ბ. მურალოს სრული უფლება აქვს, როცა სურდეს, იჩივლოს, სადაც ჯერ-არს და ვისზედაც საჩივარს შეიტანს, იმედია ის კაცი ჯეროვან პასუხსაც მისცემს; და ეხლა, მე თუ თავი მოვიავათმყოფე, ან თუ რა ზომა მიმიღია და ან რა ზომა მაქვს მიღებული ავაზაკების და საქონლის მოძებნის თაობაზე, არ ვრაცხ საჭიროდ, და არც მოვალე ვარ, რომ ბ. მურალოვს ანგარიში მივსცე; მე დაუცდი მისს საჩივარს, რომლითაც ვილაც დრომდის უცნობ პოლიციის აგენტს ემუქრება და მაშინ მის საჩივარს და პასუხსაც სა-

---

წარმოადგენდა სწორეთ საზარელს სანახავს.

— ნუ გეშინიათ, გაიმეორა ბალერონმა, მივიდა ახლოს სტოლთან და აანთო ისევ სანთელი. ჩემი მეგობარი იუზი არის პატიოსანი და ჩვენი ერთგული ამხანაგი.

— მაინც თქვენ ეგ არ უნდა მოგეყვანათ ჩვენ დაუკითხავათ, უპასუხა ბენესსიმ, მაგრამ,—უთხრა უცნობს, „რადგანაც ეხლა აქა ხართ, მე თქვენ მოგცემთ რამდენსამე კითხვას. მოდით აქ სტოლთან.

იუზი წინ წამოდგა და ბენესსიმ გაუშვირა ხელი, რომელიც უცნობმა იმ გვარათ ჩამოართვა, როგორც ამ საზოგადოებას ჰქონდა მიღებული. შემდეგი კითხვები მისცა ბენესიმ—ეს პასუხი მიიღო იუზისაგან.

კითხვა:—სუყველა მოქმედება საქებია თუ არა ახლანდელ დროში?

პასუხი:—ჩვენ მიზეზი არა გვაქვს საჩივრისა.

კითხვა:—ჩვენ იმაზე მეტი მივიღეთ, რასაც ველოდით?

პასუხი:—დიახ, ღმერთი კეთილი და მოწყალეა თავის ხალხისთვის.

— კარგი, ჯერობით საქმე კარგათ მიდის!—სთქვა ბენესსიმ.—ახლა მითხარით სახელი თქვენის თავ-მჯდომარისა, იმის თანაშემწესი და კამიტეტის წევრებისა?

იუზმა რამდენიმე სახელი სთქვა.

ბენესსიმ განზე გაიხმო და უჩურჩულა: „ყოველმა კაცმა თავის მოვალეობა უნდა აასრულოს.“

დიახ, ისე როგორც შეეფერება იმის ღირსებას.

— კარგი,—სთქვა მაღლა ბენესსიმ და ისევ სტოლთან დაჯდა და მიმართა ყრილობას.—თქვენ მოგეხსენებათ ის საქმე, რისთვისაც დღეს აქ ვართ შეყრილნი და იმედი მაქვს ყველანი აასრულებთ თქვენ მოვალეობას. საქმე კარგათ მოხერხდა და სწორეთ უნდა ვთქვათ, რომ ეს პატივს სდებს ჩვენ მხარეს. ტომ მურფი დღეს აქ მოვიდოდა, რომ პირად მადლობა ეთქვა იმ პატიოსანი კაცისათვის, რომელმაც ასე რიგიანათ აასრულა თავის მოვალეობა, მაგრამ იმას უთხარი, რომ ექვსის თვის განმავლობაში ახლოც არ მოგვეკაროს, რადგან ყოველი იმის ნაბიჯი შენიშნული იქნება. თავის მაგივრათ იმან გამოგზავნა ოთხმოცი მანეთი, რომელსაც აი სტოლზე ვსდებ. ოთხმოცი თუმანიც არ იქნებოდა მომატებული ამისთანა საქმისთვის. ახლა მიჩვენეთ რა გააკეთა თითონ ხალხმა.

ყველა აქ მყოფნი თითო - თითოთ მივიდნენ სტოლთან. ერთმა გადასცა სამი თუმანი, მეორემ ხუთი, მესამემ ორი, ზოგმა რამდენი და ზოგმა რამდენი.

ტომ კეზი—უთხრა ბენესსიმ, ერთ აქ მყოფს, რომელმაც მარტო მანეთი მოიტანა,—როგორ დაგიჯეროთ მაგ საცოდავი გროშების მეტი ვერ შეაგროვეს ნოკრის მცხოვრებმა იმ კაცისთვის, რომელმაც გმირულათ აასრულა თავის მოვალეობა და შეგვძინა მრავალი ფული?

— მე რა ვქნა? ყველას დაუარე, მაგრამ მალლეის სახლობას მურფებთან რაღაც უსიამოვნება აქვთ და ამისათვის არ მოაწვრეს და ისინი ჩვენში ძრიელ გავლენიანი ხალხნი არიან.

— წყეულნი! ღეე იმათაც წაერთვათ იმათი საკუთარი მიწა! სთქვა ბენესსიმ. შემდეგ დათვალა ფული, რომელიც სულ ორმოც თუმნამდინ შეადგენდა, გაახვია გაზეთში და სტოლზე დადო. შემდეგ სანთლები გააქრო, რომ ბრედის, რომლისთვისაც ეს ფული იყო დანიშნული, შეუნიშნავათ აეღო.

— კიდევა გვაქვს რამე საქმე? ჰკითხა ბენესიმ.

— დიახ, უპასუხა იუზმა,—ბრედი აღარ არის, მაგრამ ჩვენი მხარე მანამ არ დამშვიდდება, სანამ იმის ბატონსაც თან არ გავატანთ. ამისათვის მე ვთხოულობ, რომ იმასაც ბოლო მოუღოთ, როდესაც ის აქ დაბრუნდება. მიწა ჩვენია და ჩვენი უნდა იყვეს. არც ერთ ფერმერს არ შეუძლიან მოსვენებით დაიძინოს, მანამ იმის მებატონე ცოცხალია. მე გეუბნებით თქვენ...

ამ დროს მოისმა ორი საშინელი სტვენა და თორმეტ-ცამეტი წლის პატარა ბიჭმა გულ-გახეთქილი შემოირბინა ოთახში.

— მეძებრები! სთქვა იმან. ამ რამდენიმე წამში აქ იქნებიან.

ერთ წამში სანთლები დააქრეს და რჩევა საჩქაროთ დაიშალა.

იუზ და ბალერონი თამამად წავიდნენ ჭაობისკენ; დანარჩენნი კი დიდის სითხილით ერიდებოდნენ იმ გზებს, საითაც პოლიცია დაიარება. ერთ წამში ცეცხლს ნაცარი წააყარეს და ოცი წამის შემდეგ მთელი ბენესსის სახლობა ლოგინში იწვა. დაბმული ძაღლები აუშვეს.

(გაგრძელება)

ქვეყნოდ გამოვაცხადებ და იმედია ყველანი დარწმუნდებიან, რომ ბ. მურალოვი ერთი ასად-ადიდებს საქმეს შესახებ მისი მაღაზიის გაქურდვისა. რამდენიც უნდა სწეროს ამის შემდეგ ბ. მურალოვმა, მე ხმასაც არ ამოვიღებ საჩივრის განცხადებამდის, რადგანაც მის მუქარობას არა-ვითარი მნიშვნელობა არა აქვს და ვერავისაც შეაშინებს. ნათქვამია: „მჯდარა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.“

პოლიციის პრისტავი ქუთათელაძე.
მარტის 6-ს 1881 წ. ქ. ქუთაისი.

# განცხადებანი

—

## თფილისის ქალაქის

# გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქუჩებისა და მოედნების დგვა და გასუფთავება ამ წლის განმავალობაში იქნება ამ წესით:

### კვირაში სამჯერ

1 კატეგორიისა.

1. გოლოვინის პროსპექტი—ვაუპვანტიდამ ფოშტის შტანციამდი.
2. ნიკოლაევის მოედანი სასახლის, წინ,
3. სასახლის ქუჩა,
4. ერევნის მოედანი,
5. ბარიატინსკის ქუჩა,
6. სოლოლაკის ქუჩა,
7. რუსის ბაზარი (იარმუკა),
8. ძველი ფოშტის ქუჩა,
9. მადათოვი,
10. სომხის (შუა) ბაზარი,
11. სირაჯების რიგი,
12. თათრის (პურის) მოედანი,
13. მერკინების ქუჩა,
14. მეჩითის ყრუ-ქუჩა,
15. მიხაილოვის (კუკიის) ხიდი და
16. მიხაილოვის ქუჩა.

### კვირაში ორჯერ

2 კატეგორიისა.

1. ერმოლოვის ქუჩა,
2. სერგიევის,
3. ფავიდოვის მირზოევის სახლამდინ,
4. კრუზენშტერნის,
5. ჭავჭავაძის,
6. კომენდანტის,
7. არსენლის,
8. ლაბორატორიის,
9. ატამანის,
10. ბაზრის,
11. კუზნეცკის,
12. მუხრანსკის,
13. ვოდოვოზნი, ვანქის დაღმართი,
14. ნიკოლაევის მოედანი (ჩუღურეთი),
15. ფესიმონოვის გადასახვევებით,
16. პსკოვის,
17. პესკოვსკის აღმართი,
18. სირაჯხანა და მეთევზების აღმართი,
19. კახეთის მოედანი,
20. ნაგორნის ქუჩა,
21. კონსულის,
22. ნოვო-ბებუთოვის,
23. რეტიშჩევის,
24. ინსტიტუტის,
25. ბანკის,
26. ველიამინოვის,
27. დიდი ვოდოვოზნის,
28. გეორგიევის,
29. გიმნაზიის,
30. ველაპრის ხიდები,
31. რაზნოვის,
32. მოსკოვის,
33. სამხის მოედანი,

### კვირაში ერთხელ

3 კატეგორიისა.

1. სავიორნის ქუჩა,
2. კანიუშნის,
3. ვუდოვიჩის
4. ჩრდილინის,
5. სოლოლაკის,
6. მერკინების რიგი,
7. სომხის ქუჩა,
8. პუსტაია,
9. დოქტორის ქუჩა,
10. სემინარიის,
11. ძველი გიმნაზიის ქუჩა,
12. კოჯორის,
13. სადოვაია,
14. ამაღლების (მოზინსკის),
15. პატარა სადოვაია ანუ ბასტაროვის,
16. სავიორნის ქუჩა,
17. არტილერიის,
18. ინჟინრის,
19. ოქრომჭედლების ქუჩა,
20. პატარა ბაზახანა,
21. მექუდეების რიგი,
22. ვორონცოვის ნაპირები,
23. ელისაბეტინის,
24. ტროიცკის ვიწრო ქუჩა,
25. ფრანგების ქუჩა,
26. ნახშირის მოედანი,
27. პურის მოედანი,
28. აბანოს,
29. ვორონცოვის,
30. დიდი ბრუნდე ქუჩა,
31. ქვირაცხოველის,
32. ალექსანდროვის,
33. ტროიცკის,
34. ბარონის,
35. გრაფის,
36. ორბელიანის 1-ლი,
37. ორბელიანის 2-რე,
38. სიმონსონოვის,
39. ბანკის ვიწრო ქუჩა,
40. ვანქის ქუჩა,
41. ვანქის ვიწრო ქუჩა 1-ლი,
42. ვანქის ვიწრო ქუჩა 2-რე,
43. ტალახის,
44. პატარა ტალახის,
45. პოლიციის ქუჩა,
46. ჩომბოვის,
47. სუფხიშნის,
48. ოგურცოვის,
49. ბაგრატიონოვის,
50. ანჩისხატის,
51. ეგზარხოსის მოედანი,
52. სიონის ქუჩა,
53. ნემეცკების,
54. პრიკაზის,
55. აქიმოვის,
56. მეზნის,
57. დეიდაბოს,
58. ნიროშნის,
59. ხარაზების რიგი,
60. გეორგიევის მოედანი,
61. აბას-აბადის მოედანი,
62. მოლლინის ვიწრო ქუჩა,
63. ბებუთოვის ქუჩა,
64. იერუსალიმის,
65. ტამოვის,
66. კოლონისტის,
67. როტის და აფთიაქის,
68. კიროჩნის,
69. ნიკოლაევის,
70. ალექსანდროვის,
71. ნემეცის,
72. ჩილდროვის,
73. კიჩნეევის,
74. სიმონოვის,
75. ალიქსეევის,
76. გილდის,
77. გალოჩნის,
78. მაკლეისის,
99. ახალი—ფრანგების ქუჩა,
80. მოლოკანის,
81. მოლოკანის მოედანი,
82. პანსაკეჩიის ქუჩა,
83. სუპ-კარაპეტის აღმართი,
84. დიდ-ხევის დაღმართი,
85. ავჭალის ქუჩა,
86. რეუტოვის,
87. ანდრეევსკის,

### ორ კვირაში ერთხელ

4 კატეგორიისა

1. სალდათის ქუჩა,
2. მთაწმინდის 1-ლი,
3. მთაწმინდის 2-რე,
4. კოჯორის ვიწრო ქუჩა,
5. დავიდოვის მირზოევის სახლიდამ მაიდნამდინ,
6. 1-ლი ნაგორნის ქუჩა,
7. 2-რე ნაგორნის,
8. 3-მე ნაგორნის,
9. ოვრაჟის,
10. 1-ლი პარალელნი,
11. 2-რე პარალელნი,
12. ძალიუჩია ბალკა,
13. მირსკოვის ბალკა,
14. ცხენეტის ქუჩა,
15. პატარა ვოდოვოზნის ვიწრო ქუჩა,
16. ტიფლოვის ვიწრო ქუჩა,
17. სალდათის ვიწრო ქუჩა,
18. ქუჩები, რომელიც ვანქის, ვიწრო ქუჩიდამ პოპკოვის წისქვილამდინ,
19. ორბელიანოვის ვიწრო ქუჩა,
20. სატნოვის ქუჩა,
21. 5-თე ნაგორნის ვიწრო ქუჩა, ავლაბრის ქუჩასთან,
22. ბრუნდე ნაგორნის ლაბორატორიის ქუჩიდამ არშაკუნის ბაღამდინ,
23. პოლიციის ვიწრო ქუჩა,
24. ვიწრო ქუჩა შუამბაზართან,
25. ფრანგების ვიწრო ქუჩა,
26. ვიწრო ქუჩა, რომელიც დიდი ბრუნდე ქუჩიდამ პატარა ბაზაზხანამდის.
27. სალებავის ქუჩა,
18. თათრების აღმართი ქუჩა,
29. ბოტანიკის ბაღის ქუჩა,
30. ძველი ციხის ვიწრო ქუჩა,
31. პატარა პოლიციის ვიწრო ქუჩა,
32. ფეთხაინის ქუჩა,
33. პატარა ფეთხაინის,
34. ფეთხაინის ვიწრო ქუჩები,
35. ბებუთოვის ვიწრო ქუჩა,
36. ვორონცოვის ვიწრო ქუჩა,
37. ერევნის ქუჩა ყაზახების ხიდიდამ,
38. ახალი არსენალის ქუჩა.
39. ვოდოპოდიომნის,
40. მეტეხის აღმართი,
41. ლაზარევის ქუჩა,
42. კახეთის ქუჩა ნავთლუღის მაიდნამდინ,
43. მაღალი სადოვაია,
44. დაბალი სადოვაია,
45. 1-ლი მალაკნების ვიწრო ქუჩა,
46. 2-რე მალაკნების ვიწრო ქუჩა,
47. მესხიევის ვიწრო ქუჩა.

ნაგავი და ტალახის გასატანათ რომელიც მოიკრიფება ქუჩაში უნდა დაიჭირონ პოლოსკები და იმავე დღეს გადატანილი იყოს ქუჩებიდამ: თუ რამე უწესოება იქნება, ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველა მცხოვრებლებს შეატყობინოთ წერილით ანუ სიტყვით. (3—2)

---

სომხეთა ნერსესის სემინარიის პოპეჩიტლების სოვეტში, ამ მარტის თვის 18 სა აღამოზედ 8 საათზედ არის დანიშნული-ტორგი (უპერეტორჟკით) იჯარით მისაცემათ იგივე სემინარიის მამული, ერთი დუქანი თავის სარდაფით (შემწეული მიცვალებული გრიგოლ ბერგილოვისაგან,) რომელიც იპოვება შუა ბაზარში: მსურველს აღებისა იმ მამულისა შეუძლიან წაკითხვა პირობისა (**КОНДИЦІЯ**) იმავე სემინარიის კანცელარიაში, ყოველ დღე, კვირასა და ქუქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე 12 საათამდინ შუადღისა. (3—3)

---

### დასყიდვა ფასებით:

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ჭუჭაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიცა ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

**ინგლისის მაღაზიაში,** არწრუნის გალერეაში. (20—6).

---

### ტოლლეს მაღაზიაში

25 თებერვლიდამ 10 მარტამდე იქნება **გასყიდვა** ყოველ გვარის საქონლისა იაფ ფასებით. (5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ 10 Мартъ 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.